საქართველოს მთავრობის

დადგენილება №93

2016 წლის 26 თებერვალი

ქ. თბილისი

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებაში (სსმ, №101, 01.08.2006 წ.) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის 10^3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10^3. რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობა და დანიშვნის პრინციპები

1. რეინტეგრაციის შემწეობა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) ჯანმრთელი ბავშვისათვის – თვეში 90 ლარით;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის – თვეში 130 ლარით.

2. ბავშვისათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის/დაკარგვის შემთხვევაში, რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობა განისაზღვრება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სათათბირო ორგანოს – რეგიონული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით და გაიცემა გადაწყვეტილების მიღების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**